

სანიმუშო საგამოცდო კითხვების პასუხები

განყოფილება A

1. გ

ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი = $\$176,400 / 3,600 = \49

	\$
შთანთქმული თანხა = $49 * 5,400 =$	264,600
ფაქტობრივი ზედნადები დანახარჯები	(250,400)
შთანთქმის სიჭარბე	14,200

2. ა

3. 6,750 საათი

დაგეგმილი საათები = $\frac{\$216,000}{\$32} = 6,750$ საათი

4. გ

5. დ

სვეტოვანი დიაგრამა კარგი საშუალებაა მთლიანი შემოსავლების ყოველთვიური ილუსტრაციისთვის. ყოველი თვის შესაბამისი სვეტის სიგრძე მთლიანი შემოსავლის საზომია. სვეტის დაყოფა სამ ნაწილად არის შესაძლებელი ყოველი პროდუქტის მიღწეული რეალიზაციის საჩვენებლად. ასეთ დიაგრამას მრავალმაჩვენებლიანი სვეტოვანი დიაგრამა ეწოდება.

6. გ

ფასების შემცირების პერიოდში ფიფო მეთოდით შეფასებული მარაგების საბოლოო ნაშთი ნაკლებია, რადგანაც საბოლოო ნაშთი მოიცავს ბოლო პერიოდში შესყიდულ ერთეულებს. საბოლოო ნაშთის უფრო დაბალი ღირებულება ნიშნავს უფრო მაღალ გაყიდვების ღირებულებას და ნაკლებ მოგებას.

7. გ

{[შეფერული მარაგი + (შეკვეთის ეკონომიური მოცულობა ÷ 2)] × კომპონენტის წლიური შენახვის ღირებულება} = [800 ერთეული + (1,600 ერთეული ÷ 2)] × \$3.50 = \$5,600

8. ა

ძირითადი დრო = $936 - 108 = 828$ საათი

თანამშრომლების რაოდენობა = 23

9. გ

პირდაპირი შრომის დანახარჯის გამოთვლაში შევაყვება ნამუშევარი საათი (ზენორმატიულების ჩათვლით) ძირითადი განაკვეთით:

$$936 \times \$6.20 = \$5,803.20$$

10. \$1,015

თარიღი		ერთეუ- ლები	ერთეულის ღირებულება, \$	მარაგების ღირებულება, \$
1 ოქტომბერი	საწყისი მარაგი	50	15.00	750
8 ოქტომბერი	30 ერთეულის შესყიდვა, თითო \$20	30	20.00	600
14 ოქტომბერი	40 ერთეულის შესყიდვა, თითო \$17	40	17.00	680
		12	16.92	2,030
21 ოქტომბერი	75 ერთეულის რეალი- ზაცია: ღირებულება	(60)	16.92	(1,015)
31 ოქტომბერი	საბოლოო მარაგი	60	16.92	1,015

11. ა

12. ა

	ამწყოები	დამამთავრებელი	შენახვა- უზრუნველყოფა
მიკუთვნებული ზედნადები დანახარჯები	90,000	100,000	10,000
შენახვა-უზრუნველყოფა	6,000	4,000	(10,000)
	96,000	104,000	

ზედნადები ხარჯების შთანთქმის განაკვეთი საამწყობო ქვედანაყოფში =
\$96,000/10,000 მანქანა საათი = \$9.60

13. დ

	წარმოებული პროდუქცია, კგ	სარეალიზაციო ღირებულება, \$	ერთობლივი დანახარჯების გადანაწილება, \$
პროდუქტი A	2,000	24,000	(24/96) 7,500
პროდუქტი B	4,000	72,000	(72/96) 22,500
		96,000	30,000

14. გ

$$(\$30 \times 2,000) + (\$30 \times 1,600) + (\$50 \times 2,200) = \$218,000$$

15. გ

მარაგები იზრდება, ამიტომ დანახარჯთა სრული განაწილებით კალკულაციით დათვლილი მოგება იქნება \$19,000-ით მეტი:

$$(\$30 \times 200) + (\$30 \times 100) + (\$50 \times 200) = \$19,000$$

16. ა

	ერთეულები	მთლიანი ღირებულება
მაღალი	55	\$7,000
დაბალი	25	\$5,500
სხვაობა	30	\$1,500

შესაბამისად, ცვლადი დანახარჯი = $\$1,500 / 30$ ერთეულზე = \$50 ერთეულზე

ჩანაცვლებით, ვიღებთ რომ მუდმივი დანახარჯები = \$4,250.

17.

	სწორია	მცდარია
ზედნაღები დანახარჯები ყოველთვის მუდმივია		X
ჭარბოების ღონის მატებასთან მუდმივი დანახარჯები ერთეულზე კლებულობს	X	
გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუდმივი დანახარჯები ყოველთვის არარელევანტურია		X
აქტიურობის ღონის ცვლილებასთან ერთად იცვლება მუდმივი დანახარჯები		X

18. \$8.25

მთლიანი ნამუშევარი და გადახდილი საათები = $3,300 / 0.75 = 4,400$ საათი

საათობრივი განაკვეთი = $\$36,300 / 4,400 = \$ 8.25$

19. ა

20. ბ

	შესაბამისობის დანახარჯები	არაშესაბამისობის დანახარჯები
საქმის შეუსრულებლობა შიდა მიზეზის გამო		X
პრევენციის დანახარჯები	X	
შეფასების დანახარჯები	X	
საქმის შეუსრულებლობა გარე მიზეზის გამო		X

21. ა

$$834 - [(854 + 834 + 1,012)/3] = -66$$

22. დ

23. ბ

\$

მოგება ზღვრული დანახარჯების კალკულაციის მიხედვით	180,000	
$(15,000 - 25,000) \times \6		(60,000)
მოგება დანახარჯთა სრული განაწილების კალკულაციით	120,000	

24. ა

25. ა

26. გ

27. გ

$$15 + [850/(850 - (-50))] \times (20 - 15) = 19.7\%$$

28. ბ და გ

29. ბ

30. ა

ფაქტობრივი რეალიზაციის ზღვრული მოგება
\$50,000

მინუს: არახელსაყრელი ცვლადი დანახარჯების მთლიანი გადახრა (3,500)

ფაქტობრივი ზღვრული მოგება
\$46,500

რეალიზაციის მოცულობის ხელსაყრელ ზღვრულ მოგების გადახრას არ ესაჭიროება კორექტირება, რადგანაც ის უკვე მიმატებული იყო საბიუჯეტო ზღვრულ მოგებაზე ფაქტობრივი რეალიზაციის ნორმატიული ზღვრული მოგების (\$50,000) გამოსათვლელად.

31. დ

32. გ

მასალები ცვლად დანახარჯებს წარმოადგენს, შესაბამისად გრაფიკი უნდა იწყებოდეს კოორდინატთა სისტემის 0 წერტილიდან და იზრდებოდეს გრადიენტის მიხედვით, რომელიც უდრის ერთეულზე გაწეულ დანახარჯს. დანახარჯი ერთეულზე გარკვეულ წერტილში მცირდება, შესაბამისად გრადიენტ ასევე შემცირდება და გრაფიკი ნაკლებად დახრილი იქნება. დ ვარიანტ გვიჩვენებს სიტუაციას, როდესაც ერთეულის ღირებულება იზრდება გარკვეული მოცულობის შემდეგ.

33. ბ

$$\text{საშუალო დანახარჯი} = (\$12,500 - \$350)/(2,000 - 200) = \$6.75$$

34. დ

$$\text{ზენორმატიული დანაკარგი მოგება-ზარალის უწყისში} = 100 \times (\$6.75 - \$1.75) = \$500$$

35. ა

$$\text{მოცდენის დრო} + \text{ზოგადი ზენორმატიული დრო} = (15 \text{ საათი} \times \$12) + (10 \text{ საათი} - 4 \text{ საათი}) \times \$6 = \$216$$

36. დ

37.

	საქმის შეუსრუ- ლებლობა შიდა მიზეზის გამო	საქმის შეუსრუ- ლებლობა გარე მიზეზის გამო	შემოწმების დანახარჯები	პრევენციის დანახარჯები
მომხმარებლის მომ- სახურების გუნდის ხარჯები		✓		
აღჭურვილობის შენახვის ხარჯები				✓
სატესტო აღჭურვი- ლობის მართვის ხარჯები			✓	

38. გ

კორელაციის კოეფიციენტის გამოსათვლელ ფორმულას ასეთი სახე აქვს:

$$r = \frac{n \sum xy - \sum x \sum y}{\sqrt{(n \sum x^2 - (\sum x)^2)(n \sum y^2 - (\sum y)^2)}}$$

აქ $n = 7$ და ფორმულის შესადგენად უნდა განვსაზღვროთ შესაბამისი ჯამი მე-11 სტრიქონში

ა და **დ** არასწორია, რადგან მათში $n = 6$

ბ არასწორია, რადგან ბოლოში აკლია კვადრატული ფესვის ამოღების ნიშანი.

39.

	ღირებულების ანალიზი	ღირებულების ინჟინერია
განიხილავს მიმდინარე პროდუქტს დანახარჯების შემცირების მიზნით	X	
განიხილავს პროდუქტს დაპროექტების ფაზაზე დანახარჯების შემცირების მიზნით		X

40. ა

განყოფილება B

41. MRS GLAM

(ა) (1) არარელევანტური (შეუქცევადი დანახარჯები)

(2) არარელევანტური (არაფულადი დანახარჯები)

(3) რელევანტური (მომავალი ფულადი დანახარჯები)

(ბ) ზრდადი ზღვრული მოგების მიმდინარე ღირებულება:

$$\$50,000 \times 0.08 \times 0.3 \times 3.170 = \$3,804$$

(გ) ზრდადი განაკვეთის მიმდინარე ღირებულება

შენიშვნა: განაკვეთები ანაზღაურდება წინასწარ, შესაბამისად გადახდები განხორციელდება 0, 1, 2, და 3 წლებში. ანუიტეტის ფაქტორი 0-დან 3 წლამდე = $1 + 2.487 = 3.487$:

$$(\$4,000/115 \times 15) \times 3.487 = \$1,819$$

(დ) მემკვიდრეობის ღირებულება ოთხ წელიწადში:

$$\$10,000 \times 1.1^4 = \$14,641$$

42. M CO

(ა) გამოთვლები:

$$(1) \text{ მუდმივი ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრა } = \$9,000 + \$200 = \$9,200$$

ათვისების გადახრა არახელსაყრელი იქნება

$$\text{ფაქტობრივი} = 3,000 \times \$2.50 = \$7,500$$

$$\text{საბიუჯეტო} = 3,680 \times \$2.50 = \$9,200$$

$$\text{ათვისება} = \$7,500 - \$9,200 = \$1,700 \text{ არახელსაყრელი}$$

(2) და (3)

$$\text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ფაქტობრივ განაკვეთზე} = 3,000 \times 3.90 \text{ (3)} = \$11,700$$

$$\text{განაკვეთი} = 300 \text{ ხელსაყრელი}$$

$$\text{ფაქტობრივი საათები} \times \text{ნორმატიულ განაკვეთზე} = 3,000 \times 4.00 = \$12,000$$

$$\text{ეფექტურობა} = \$800 \text{ არახელსაყრელი (2)}$$

$$\text{ნორმატიული საათი} \times \text{ნორმატიულ განაკვეთზე} = 2,800^* \times 4 = \$11,200$$

* ნორმატიული საათების დასათვლელად უნდა გამოიყენოთ მუდმივი ზედნაღები ხარჯების ეფექტურობის გადახრა:

$$\text{ფაქტობრივი} = 3,000 \times \$2.50 = \$7,500$$

$$\text{ეფექტურობის გადახრა} = \$500 \text{ არახელსაყრელი}$$

$$\text{ნორმატიული} = \$7,500 - \$500 = \$7,000$$

$$\text{ნორმატიული საათები} = \$7,000 / \$2.50 = 2,800 \text{ საათი}$$

(ბ) ა

(გ) ბ